გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2020 წლის 10 იანვარი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1	800

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-17 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

17	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	4	900

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**